საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ოქროპირიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	0	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

თამარ ოქროპირიძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ როგორც გულისხმიერ, კორექტულ, გულწრფელ, გაწონასწორებულ და თავმდაბალ პიროვნებას. მათი შეფასებით, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საქმისადმი კანდიდატის ერთგულება და დროისა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი.

თამარ ოქროპირიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, თამარ ოქროპირიძე პრინციპული, ობიექტური, მტკიცე, სამართლიანი და მიუკერძოებელი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა განაცხადა, რომ სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობას მიიჩნევს. კანდიდატს მიაჩნია, რომ სასამართლო სისტემა მეტად უნდა გაიხსნას და საზოგადოებისთვის ცხადი გახდეს ის შრომა, რასაც მოსამართლე ინდივიდუალურად ეწევა. კანდიდატს

კრიტიკული მოსაზრება არ გამოუთქვამს სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

თამარ ოქროპირიძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, თამარ ოქროპირიძე თავაზიანი, გაწონასწორებული და კომუნიკაბელური პიროვნებაა. კოლეგების თანახმად, იგი გამოირჩევა სასამართლო აპარატისადმი კეთილგანწყობით. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატი გამოირჩეოდა თავდაჭერილობით, კორექტულობითა და თავაზიანობით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თამარ ოქროპირიძეს შესწევს შეცდომების აღიარების უნარი. მიმაჩნია, რომ აღნიშნული თვისება მეტყველებს კანდიდატის მაღალი პიროვნული და პროფესიული ქცევის კულტურაზე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პიროვნული ზრდისა და პროფესიული განვითარებისთვის.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები თამარ ოქროპირიძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

თამარ ოქროპირიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კერძოდ, კანდიდატმა ისაუბრა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე და მოიყვანა საქართველოს წინააღმდეგ მიღებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. კანდიდატმა იმსჯელა ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ისაუბრა საკანონმდებლო ცვლილებებზე. კანდიდატს მიაჩნია, რომ ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ძალადობის კვალიფიკაციისთვის, აუცილებელია, რომ მოძალადე იყოს მამაკაცი. მოყვანილ მაგალითში, სადაც ქალზე იძალადა ქმრის ყოფილმა ცოლმა, კანდიდატი მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონდა გენდერის ნიშნით ქალზე ძალადობას. თამარ ოქროპირიძე შეეხო თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რაც მისი განმარტებით, გულისხმობს თავისუფალი მეწარმოებისა და კონკურენციის უზრუნველყოფას. კანდიდატის განმარტებით, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტებისთვის თანაბარი პირობების შექმნა. კანდიდატმა ისაუბრა პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მკურნალობის მიზნით მოთავსების პრობლემატურ საკითხებზე. კანდიდატმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველი იქნებოდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. კანდიდატმა ისაუბრა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმსა და მინისტრთა კომიტეტის როლზე.

ამასთან, თამარ ოქროპირეძემ ვერ განმარტა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით გასაჩივრების შეზღუდვის თავისებურებანი ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. რეკომენდატორები

აღნიშნავენ, რომ თამარ ოქროპირიძე გამოირჩევა არა მხოლოდ სამართლებრივი საკითხების, არამედ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ღრმა და ჯეროვანი ცოდნით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის თანახმად, თამარ ოქროპირიძეს აქვს ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება სკოლის თეორიულ გამოცდაში.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თამარ ოქროპირიძეს გააჩნია საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი მხარის სწრაფად, კონცენტრირებულად და მიზანმიმართულად გააზრების უნარი. ასევე, კანდიდატს შეუძლია დამაჯერებლად და ლოგიკურად დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. იგი გამოირჩევა ფაქტების ანალიზისა და მათთვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭების უნარით.

აღსანიშნავია, რომ თამარ ოქროპირიძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 82,6%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა არგუმენტირებული მსჯელობის, სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. სამართლებრივი საკითხების განხილვისას კანდიდატი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით, არამედ სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით. კანდიდატმა იმსჯელა დისკრიმინაციის ფორმებზე, ისაუბრა ქალთა კვოტირების წესთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. თამარ ოქროპირიძე იზიარებს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციას და საჭიროდ თვლის, რომ აუცილებელია ქალების წახალისება პოლიტიკაში. ამასთან, კანდიდატს მიაჩნია, რომ ფეხმძიმე ქალებისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება პოზიტიური დისკრიმინაციის მაგალითია.

წერის უნარი: თამარ ოქროპირიძემ წარმოადგინა ერთი სამართლებრივი ნაშრომი, კერძოდ სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ თამარ ოქროპირიძე აზრს გადმოსცემს

ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით, რასაც ადასტურებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით თამარ ოქროპირიძის მიერ შედგენილი დოკუმენტები გამოირჩეოდა დასაბუთებულობით, გრამატიკული და სტილისტური გამართულობით. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების გარდა კანდიდატს არ წარმოუდგენია სხვა სახის სამართლებრივი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია), რაც მომცემდა შესაძლებლობას უკეთ შემეფასებინა სამართლის წყაროებთან კანდიდატის მუშაობის კულტურა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის დინჯად მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენისა და გაზიარების შესაძლებლობა, რასაც უთითებენ მისი რეკომენდატორებიც. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით თამარ ოქროპირიძეს აქვს აზრის სტრუქტურულად და ლაკონიურად გადმოცემის კარგი უნარი. საუბრობს გამართულად და დამაჯერებლად, საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს ხსნის გასაგებ ენაზე.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები თამარ ოქროპირიძეს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ, შრომისმოყვარე და გაწონასწორებულ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორი თამარ ოქროპირიძის კარგ მენეჯერულ თვისებებზე მიუთითებს.

ამასთან, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 86.2%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 63,7%-ს აღწევს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თამარ ოქროპირიძეს საანგარიშო პერიოდში (956 დღე) დასრულებული აქვს 1596 საქმე, დღეში საშუალოდ 1.7 საქმემდე, რაც მიუთითებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და დროის სწორად დაგეგმვის უნარზე. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თამარ ოქროპირიძეს შეუძლია მცირე დროში მოიძიოს საჭირო ნორმატიული მასალა და სწრაფად დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 19-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები ნარკომომხმარებელთა უფლებების, არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულების, სამშენებლო დავების განხილვის პრობლემატური საკითხების, სასამართლო სხდომის მართვის, სამოქალაქო სამართლის პროცესის შესახებ და სხვ. კანდიდატს გავლილი აქვს სასწავლო კურსები გერმანიასა და იაპონიაში.

თამარ ოქროპირიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XI ჯგუფის მსმენელი (2014წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 47-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ოქროპირიძე არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ან სხვა სახის პროფესიულ აქტივობას.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 19 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 18 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 0 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021